

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	398808	404,730	1,807,368
არამატერიალური აქტივები				520
გაცემული სესხები				
ინვესტიციები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	90333	98,203	16,535
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		698158	636,122	919,707
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	1487637	1,515,976	1,454,518
გადახდილი ავანსები		162605	110,567	266,301
სხვა მოკლევადიანი აქტივები		194719	164,119	166,973
სულ აქტივები		3,032,260	2,929,717	4,631,922
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზრალი)		1134861	911,350	697,714
სულ საკუთარი კაპიტალი		1,134,861	911,350	697,714
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		259898	324,505	2,024,723
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		358290	384,817	458,617
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	342929	434,916	673,916
საგადასახადო ვალდებულებები		1121	9472	10476
მიღებული ავანსები		935161	864,657	766,476
სულ ვალდებულებები		1,897,399	2,018,367	3,934,208
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,032,260	2,929,717	4,631,922

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 სექტემბერი.



მიხეილ ენუქაშვილი
დირექტორი




ვიქტორია ჩალიგავა
მთავარი ბუღალტერი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება				
მოგება-ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	2023	2022	2021
ამონაგები		2283744	2698939	3,021,801
თვითღირებულება		-1512244	-2081303	-2,206,209
საერთო მოგება	8	771,500	617,636	815,592
სხვა შემოსავლები		28432	1351376	8,436
საპროცენტო შემოსავლები		0	2611	1,169
საპროცენტო ხარჯი		26924	114292	92,292
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	534027	438952	404,936
სხვა ხარჯები				2,629
საოპერაციო მოგება		238,981	1,418,379	325,340
გაუფასურების (ხარჯის) რევერსირება:				
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		585	248714	17,785
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		-16055	-1453566	-10,424
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		223,511	213,527	332,701
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		911,350	697,823	365,122
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		1,134,861	911,350	697,823

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის
მიერ 2024 წლის 25 სექტემბერი.


მიხეილ ენუქაშვილი
დირექტორი


ვექტორია ჩალიავა
მთავარი ბუღალტერი


სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	0	73,373	73,373
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	88,228	88,228
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	0	161,601	161,601
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	99,645	99,645
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	0	261,246	261,246
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	103,876	103,876
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	0	365,122	365,122
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	332,701	332,701
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	0	697,823	697,823
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	213,527	213,527
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	0	911,350	911,350
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	223,511	223,511
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	0	1,134,861	1,134,861

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის
მიერ 2024 წლის 25 სექტემბერი.


მიხეილ ენუქაშვილი
დირექტორი


ვექტორია ჩალიავა
მთავარი ბუღალტერი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კლიმატის სახლი“ ს/კ 404852833 (შემდგომში „კომპანია“), დაარსდა 2010 წლის 29 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის I ჩიხი N1, საოფისე ფართი N2

შპს „კლიმატის სახლი“ წყალმომარაგების სისტემების, გათბობის სისტემების იმპორტიორია საქართველოში. კომპანია თანამშრომლობს მომწოდებლებთან, რომელთა პროდუქცია სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და ამავდროულად, ადაპტირებულია საქართველოში ექსპლუატაციისათვის.

კომპანიის პერსონალი შედგება გამოცდილი ინჟინრების, პროექტის მენეჯერების და კვალიფიციური ინსტალატორებისგან, რაც უზრუნველყოფს ჩვენი მომხმარებლების მხრიდან დასახული ამოცანების ყველაზე რაციონალურ გადაწყვეტილებას. კომპანია უზრუნველყოფს მომსახურების სრულ სპექტრს: გათბობა; ვენტილაცია; გაგრილება; წყალგაყვანილობა; ხანძარქრობა; „კლიმატის სახლი“ მსოფლიოს წამყვან მწარმოებლებთან თანამშრომლობს, კომპანიებთან, რომლებსაც ამ სფეროში მოღვაწეობის დიდი ხნის გამოცდილება აქვთ და მომხმარებლებში დიდი ნდობით სარგებლობენ.

კომპანიის პროდუქტები და სერვისებია:

- ცენტრალური გათბობის ქვებები, რადიატორები და ბოილერები;
- საკანალიზაციო მიწები;
- გათბობის მიწები;
- ფითინგები და წყალმომარაგებისთვის საჭირო ყველა აქსესუარები;
- სავენტილაციო სისტემები;
- წყლის ტუმბოები;
- დამხმარე კომპონენტები და აქსესუარები;
- სისტემის მონტაჟი და რეგულირება;

კომპანიის წილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მირიან კენკიშვილი -100%.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გადასვლის თარიღამდე კომპანია არ ამზადებდა და არ წარდგენდა ფინანსურ ანგარიშგებას რაიმე სახის რეგულაციების მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის წინა პერიოდებში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებთან შეჯერების მონაცემები. კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შედავატები.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციებისთვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6894	2.702
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844
100 რუსული რუბლი/ლარი	2.9916	3.677
10 ჩინური იუანი	3.7819	3.9063
1 თურქული ლირა	0.091	0.1443

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ

თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 6 – 7 წლის მანძილზე. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება. ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შესაბამისად, მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)
საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიის კაპიტალის გაზრდა.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი

მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტირებები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორების ნაშთების ამოღება. თუ მსხვილი დებიტორის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივად ვადაგადაცილება უფრო მაღალია ვიდრე განსაზღვრული იყო, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები შესაძლოა დარეზერვდეს. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები

და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)
3. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ელექტროგ ადამიანის საშუალებე ბი	ოფისის აღჭურვილობა	კომპ.ტექნ. და პერიფ. მოწყობილობე ბი	ავტომ.	ინვენტარი	სპეც. ინსტრუმენტე ბი	პროგრამული უზრუნველყო ფა/არამატერი ალური აქტივები	სატრანსპორტ ო საშ-ბი	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2021	1,395,000	355,933	300	4,948	9,444	3,694	6,492	8,495	1,600	55,478	1,841,384
შეძენა	-							2,246		6,710	8,956
გასვლა	(1,395,000)										(1,395,000)
ღირებულება 31 დეკემბერი 2022	-	355,933	300	4,948	9,444	3,694	6,492	10,741	1,600	62,188	455,340
შეძენა	-			-	600				2,034	10,394	13,028
გასვლა	-		(300)	(2,018)			(2,458)	(331)			(5,107)
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	-	355,933	-	2,930	10,044	3,694	4,034	10,410	3,634	72,582	463,261
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	-	-	(150)	(2,408)	(3,053)	(446)	(2,873)	(1,419)	(1,080)	(22,155)	(33,380)
ცვეთა წლის განმედიანებაში			(120)	(928)	(1,822)	(210)	(1,298)	(2,148)		(10,704)	(17,230)
გასული ცვეთა											-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	-	(270)	(3,334)	(4,875)	(656)	(3,971)	(3,567)	(1,080)	(32,859)	(50,610)
ცვეთა წლის განმედიანებაში			(30)	(575)	(1,747)	(210)	(1,094)	(2,201)	(240)	(12,853)	(18,950)
გასული ცვეთა			300	2,018			2,458	333			2,701
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	-	-	(1,891)	(6,622)	(866)	(2,807)	(6,435)	(1,320)	(45,712)	(64,491)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021			150	2,542	6,391	3,248	3,819	7,076	520	33,324	57,071
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022		355,933	30	1,614	4,569	3,038	2,521	7,174	520	29,330	404,730
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023		355,933	-	1,039	3,422	2,828	1,427	4,975	2,314	26,871	398,810

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-Dec-23	31-Dec-22	31-Dec-21
ნაღდი ფული სალაროში	509	3561	4666
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	89824	94642	11869
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	0	0
	98,203	98,203	16535

5. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგი	12/31/2023	31-Dec-22	31-Dec-21
საქონელი	1483590	1,510,940	1,452,868
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	4047	5,036	1,650
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1487637	1,515,976	1,454,518

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-Dec-23	31-Dec-22	31-Dec-21
სავაჭრო ვალდებულებები	342929	434790	673,916
გადასახდელი ხელფასები	0	126	-43,977
საგადასახადო ვალდებულებები	1121	9472	10476
სხვა ვალდებულებები	1553349	864657	766476
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1897399	1,309,045	1,406,891

7. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 0,00 ლარს, 2023 წლის განმავლობაში კაპიტალის შემცირდა/გაზრდა არ მომხდარა.

8. საერთო მოგება			
	2023	2022	2021
საქონლის გაყიდვიდან	1,988,916	2158304	2,511,959
მომსახურების გაწევიდან	296860	543016	514,925
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	-2032	-2381	-5083
სულ ამონაგები	2,283,744	2698939	3,021,801
საწესი მარაგები	-1,515,976	-1,452,868	-862,627
მარაგების შესყიდვა	-1347321	-1,499,090	-2,407,179
საბოლოო მარაგები	1,487,637	1,515,976	1,452,868
მომსახურების გაწევიდან მიღებული ხარჯი	-136,584	-363629	-389,270
ჩართული თვითღირებულებაში			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1,375,660	-1717674	-1,816,939

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022	2021
რეკლამის ხარჯები		127	106
საიჯარო ქირა	8729	36271	37246
ცვეთა და ამორტიზაცია	18949	17231	15711
შრომის ანაზღაურება	403346	281929	242713
სამეურნეო ხარჯები	251	1561	1190
საწვავის ხარჯები	24959	27045	17543
წარმომადგენლობითი ხარჯები	266	0	0
მივლინების ხარჯები	2860	90	225
კომუნიკაციის ხარჯები	2447	2643	1875
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	72220	72055	88327
სულ	534,027	438,952	404,936

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)